



**კვების წარმოების მანქანების ოპერატორი**  
**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

**I. პროფესიული პროგრამის სახელწოდება:** კვების წარმოების მანქანების ოპერატორი

**II. პროფესიული განათლების საფეხური:** მეოთხე

**III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** კვების წარმოების მანქანების ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

**IV. პროგრამის მოცულობა:** 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25სთ)

სულ 1500 საათი, აქედან:

35 კრედიტი (875 საათი) სასწავლო კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი -555, დამოუკიდებელი -256; შუალედური/დასკვნითი შეფასება - 64სთ).

25 კრედიტი ( 625 საათი) პრაქტიკის კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი -625).

**V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** მეოთხე საფეხურზე დაიშვებიან პირები ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგებისა და პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების საფუძველზე, ან აქვთ ამავე სპეციალობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის დიპლომი.

**VI. პროფესიული პროგრამის მიზანი:**

პროგრამის მიზანია მოამზადოს მეოთხე საფეხურის კვების წარმოების მანქანების ოპერატორი, რომელსაც შეუძლია ტუმბოების, ცენტრიფუგების, თხევადი პროდუქტების ფილტრების, აგრეთვე მზომი-მაკონტროლებელი ხელსაწყოების ოპერატორული მართვის, ექსპლოატაციისა და სარემონტო სამუშაოების შესრულება. შეუძლია ამ პროცესში გამოავლინოს სათანადო ცოდნა წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანების გადასაჭრელად.

**VII. სწავლის შედეგი:**

**მისაღწევი შედეგები შესაბამისი კომპონენტების მიხედვით:**

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p>აცნობიერებს კვების საწარმოთა ფუნქციონირების ძირითად პრინციპებს; აქვს მოწყობილობების (ტუმბოების, ცენტრიფუგების, თხევადი პროდუქტების ფილტრების) ფუნქციონალური დანიშნულების, სტრუქტურული და კინემატიკური აგებულების ცოდნა, მანქანის მწარმოებლობის გაანგარიშების ჩვევები და აცნობიერებს სითხეების გადატუმბვისათვის, ცენტრუფუგირებისა და ფილტრაციის შესასრულებლად აუცილებელ ღონისძიებებს.</p>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>შეუძლია ტუმბოების, ცენტრიფუგების, თხევადი პროდუქტების ფილტრების, აგრეთვე მზომი-მაკონტროლებელი ხელსაწყოების ოპერატორული მართვის, ექსპლოატაციისა და სარემონტო სამუშაოების შესრულება. შეუძლია ამ პროცესში გამოავლინოს სათანადო ცოდნა წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანების</p>

	გადასაჭრელად.
<b>დასკვნის გაკეთების უნარი</b>	შეუძლია ტუმბოების, ცენტრიფუგების, თხევადი პროდუქტების ფილტრების მზომი და მაკონტროლებელი ხელსაწყოების მუშაობაში წამოჭრილი სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგების მიხედვით სათანადო სანალიზის გაკეთება.
<b>კომუნიკაციის უნარი</b>	შეუძლია ტუმბოების, ცენტრიფუგების, თხევადი პროდუქტების ფილტრების, მზომი და მაკონტროლებელი ხელსაწყოების შესახებ ინფორმაციის მოძიება და გამოყენება. შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შეუძლია აგრეთვე უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.
<b>სწავლის უნარი</b>	შეუძლია დამოუკიდებლად შეისწავლოს ტუმბოების, ცენტრიფუგების, თხევადი პროდუქტების ფილტრების, მზომი და მაკონტროლებელი ხელსაწყოების აგებულება და მათი მუშაობის პრინციპი.
<b>ღირებულებები</b>	პასუხისმგებლობით ეკიდება კვების საწარმოთა მოწყობილობების ტექნიკოსის პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად. აქვს უნარი გაითავისოს პრობლემები. იცავს პროფესიული ეთიკის და მორალის ნორმებს. ზრუნავს უსაფრთხოების წესების და გარემოს დაცვაზე.

#### VIII. სწავლის შედეგების რუკა

საგნები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
მწარმოების საფუძვლები	X	X	X			
ინგლისური ენა	X	X		X		
ინფორმატიკა	X	X		X		
კვების საწარმოთა ტექნოლოგიური მოწყობილობები I,II	X	X	X			
კვების საწარმოო პროცესების და მოწყობილობების ავტომატური მართვა I,II	X	X	X			
კვების საწარმოთა მოწყობილობების სერვისი	X	X	X			
საწარმოო პრაქტიკა	X	X	X			

**IX. სასწავლო გეგმა**

ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა						სულ საათების რაოდენობა
		საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები	
		ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
მეწარმეობის საფუძვლები	5	30/30				8	57	125
ინგლისური ენა	5	60				8	57	125
ინფორმატიკა	5	60				8	57	125
კვების საწარმოთა ტექნოლოგიური მოწყობილობები (I ნაწილი)	9	15/15	30	60	70	8	27	225
კვების საწარმოთა ტექნოლოგიური მოწყობილობები (II ნაწილი)	12	30/30	45	90	75	8	22	300
კვების საწარმოო პროცესების და მოწყობილობების ავტომატური მართვა I ნაწილი	6	15/15	30	45	30	8	7	150
კვების საწარმოო პროცესების და მოწყობილობების ავტომატური მართვა II ნაწილი	6	15/15	15	45	45	8	7	150
კვების საწარმოთა მოწყობილობების სერვისი	12	30/30	45	90	75	8	22	300
სულ	60	390	165	330	295	64	256	1500

**X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)**

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- ლაბორატორიულ სამუშაოებს
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- საწარმოო პრაქტიკას
- ტესტების ჩაბარებას
- გამოცდების ჩაბარებას.

## **XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება**

შეფასების ზოგადი წესები:

ხუთი სახის დადებით შეფასება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი სახის უარყოფით შეფასება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
  - დასკვნითი გამოცდის შეფასება
- შეფასების მეთოდი:
- ტესტირება;
  - ზეპირი გამოკითხვა;
  - პრეზენტაცია.

## **XII. სწავლების მეთოდები:**

თეორიული სწავლება;

პრაქტიკული მეცადინეობა;

ლაბორატორიული სამუშაო;

სასწავლო პრაქტიკა;

საწარმოო პრაქტიკა.

## **XIII. ინფორმაცია პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ ადამიანურ რესურსების შესახებ**

*პროფესიული განათლების მასწავლებელი*

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების მეოთხე ან მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

2. მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
მწარმოების საფუძვლები	იუნონა მარგალიტაძე	მასწავლებელი
ინგლისური ენა	თამარ ლოლუა	მასწავლებელი
ინფორმატიკა	მზიანა ნიჟარაძე	მასწავლებელი
კვების საწარმოთა ტექნოლოგიური მოწყობილობები	ზურაბ ჯაფარიძე	დოქტორი
	გივი გუგულაშვილი	დოქტორი
კვების საწარმოო პროცესების და მოწყობილობების ავტომატური მართვა	გიორგი ბერუაშვილი	დოქტორი
კვების საწარმოთა მოწყობილობების სერვისი	ზურაბ ჯაფარიძე	დოქტორი
	გივი გუგულაშვილი	დოქტორი
	გიორგი ბერუაშვილი	დოქტორი
საწარმოო პრაქტიკა	ზურაბ ჯაფარიძე	დოქტორი
	თამაზ მეგრელიძე	დოქტორი
	გივი გუგულაშვილი	დოქტორი
	გიორგი ბერუაშვილი	დოქტორი

**XIV. ინფორმაცია პროფესიულ პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ მატერიალურ რესურსის შესახებ**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების წარმოების მანქანების ოპერატორის პროფესიული სწავლებისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

კვების წარმოების მანქანების ოპერატორის სამუშაოებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები, თვალსაჩინოებანი და სადემონსტრაციო მასალა - პრეზენტაციები და ვიდეოფილმები.

**XV. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა**

საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება:

ს.ს. №4 პურის ქარხანა -ხელშეკრულება. ( 2011წ მარტიდან 3 წლის განმავლობაში სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა.)

იხ. დანართი

#### **XVI. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

მეოთხე საფეხურის კვების წარმოების მანქანების ოპერატორის პროგრამის წარმატებულად დამთავრების შემდეგ, სტუდენტს საშუალება ეძლევა გააგრძელოს სწავლა მეხუთე საფეხურის კვების წარმოების მანქანების ოპერატორის პროგრამით.